სამკურნალო მცენარეები

გიორგი ღლონტი

ელ-ფოსტა: giorgi.ghlonti072@ens.tsu.edu.ge
ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

ფიტოთერაპიას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებიდან არის შემორჩენილი გარკვეული ტიპის ბალახები, რომლითაც იმდროინდელი ადამიანები სარგებლობდნენ. მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლებით სარგებლობდნენ. მცენარეებით მკურნალობას უძველესი ტრადიციები აქვს. დაახლოებით ჩვ.წ.აღრიცხვამდე 5000 წლის წინათ ხალხმა იცოდა ისეთი სამკურნალო მცენარეები, როგორიცაა გვირილა, ნეგო (უკვდავა) და სხვა.
ცნობილია, რომ პირველი წიგნი სამკურნალო მცენარეებზე ჩინეთში ჩვ.წ.აღრიცხვამდე 2600 წელს დაიწერა. ეს მოწმობს სწორედ იმას, რომ ფიტოთერაპია უხსოვარი დროიდან არსებობდა და დღემდე მოაღწია და დღესაც მის გამოყენებას ფართო, შედეგიანი და უნივერსალური სპექტრი აქვს.
ჩვენს ერამდე 400 წლის წინათ სამკურნალო მცენარეების მცოდნე დიდმა ჰიპოკრატემ თავის შრომებში მცენარეული და ცხოველური წარმოშობის 300 წამალი აღწერა. მანვე აღწერა ძმრის, ღვინის, თაფლის, მარილის, კომბოსტოს წვენის სასარგებლო მოქმედება.
მცენარეებით მკურნალობა უშედეგო რომ იყოს, აქამდე ისტორიას ჩაბარდებოდა... ფიტოთერაპია დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ბევრი თვითონვე ეუფლება მცენარეებით მკურნალობის საიდუმლოს.
სამკურნალო მცენარეებიდან დამზადებული წამლები უპირველესად უვნებელია ადამიანის ორგანიზმისთვის, ისინი დაბალი ტოქსიკურობით და გვერდითი მოვლენების არ არსებობით გამოირჩევიან. ცხადია, არსებობენ შხმაიანი მცენარეები, რომელთა დოზირებაც წამლის დამზადების დროს მკაცრად დასაცავია.